ღირსეული მამულიშვილი

მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აღინიშნა აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 100 წლისთავი.

დიდ პატივს მივაგებ ბატონი ავთანდილის ხსოვნას და თავს უფლებას მივცემ ეს პატივისცემა ამ მოკლე წერილშიც გამოვხატო.

როდესაც საზოგადოება გაფასებს, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია, ხოლო როდესაც არ გაფასებენ, ვერ ხედავენ იმას, როგორ გიყვარს შენი სამშობლო და რას აკეთებ ამისათვის – ეს უბედურებაა, თავისებური ტრაგედიაა.

ბატონი ავთანდილ გუნია დაფასებული იყო სიცოცხლეშივე (რაზეც მისი ბიოგრაფიაც ადასტურებს) და დაფასებულია გარდაცვალების შემდეგაც.

ჩვენ ქართველ ეკონომისტებს ბევრი ღირსეული მამულიშვილი გვყავდა და ახლაც გვყავს. პირადად მე ეს მეამაყება. მათ გვერდით შეიძლება თამამად მოვიხსენიოთ აკად. ავთანდილ გუნია.

როდესაც თვალი გადავავლე აწ გარდაცვლილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა, სამწუხაროდ, გრძელ სიას, ბატონი ავთანდილი ჩვენი საამაყო პროფესორების, ჩვენი მასწავლებლების – ნიკო ქოიავასა და ირაკლი მიქელაძის გვერდით დავაყენე. რაფინირებული, მაღალი კულტურისა და ზნეობის პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი, რაც თვალშისაცემი იყო და პირველსავე შეხვედრაზე მოკრძალებული პატივისცემით განიმსჭვალებოდი მის მიმართ. შესანიშნავი ორგანიზატორი და დიდებული ლექტორი. იგი არა მხოლოდ გარეგნობით გვხიბლავდა სტუდენტებს, არამედ ქცევითაც, მანერებით, ზომიერებით. შეკითხვაშიც კი იგრძნობოდა მისი მაღალი პროფესიონალიზმი და კულტურა. თვით იყო ძალზე მოკრძალებული და შენც ავტომატურად ათმაგად მოკრძალებული ხდებოდი მის მიმართ. პირადად მე ბატონ ავთანდილთან ურთიერთობა მქონდა არა მხოლოდ როგორც სტუდენტსა და ასპირანტს, არამედ უმცროს კოლეგასაც. ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა მისგან. იგი სამაგალითო, მისაბაძი პიროვნება იყო.

ბატონ ავთანდილს მეცნიერებაში თავისებური ხელწერა ჰქონდა. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც გამოეხმაურა ქარტეხილივით მოვარდნილ პროცესებს საქართველოში. 1991 წელს გამოვიდა მისი ნაშრომი „საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირების საკითხები“. ეს ის პერიოდია, როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილი, მათ შორის, სამწუხაროდ, ეკონომისტების ერთი ჯგუფი, დაბნეული, გაოგნებული და გულხელდაკრეფილი იყო. ამ თემაზე საუბარი მიმძიმს, მაგრამ ეს იმიტომ გავიხსენე, რომ ბატონმა ავთანდილმა, სხვებისგან განსხვავებით, სწრაფად მოახდინა ადაპტირება და ადმინისტრაციული სოციალიზმის ეკონომიკის კვლევიდან სწრაფად გადაერთო საბაზრო ეკონომიკის საკითხების კვლევაზე. ზემოთ აღნიშნული ბოლო ნაშრომი პრეპრინტი იყო. ავტორი ფიქრობდა მის გაშლას, მთლიანობაში წარმოდგენას, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა. თუმცა, მან რომ ერთ-ერთმა პირველმა საქართველოში დაიწყო საბაზრო ეკონომიკის პრობლემატიკაზე მუშაობა, ეს ამტკიცებდა მის პროგრესულ აზროვნებას, განწყობას, შემართებასა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, დიახ, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, რომელშიც აისახება პიროვნების დამოკიდებულება სამშობლოსადმი, კოლექტივისადმი, ახალგაზრდა თაობისადმი და, თუ გნებავთ, საკუთარი შვილების მიმართაც.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

როზეტა ასათიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი